

# ლიცენზირებული საშური



საშურის მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშურის მოამბის“ ღამათემა  
№12, 30 ღამათემა, ორშაბათი, 2024 წელი

## რედაქციის სვეტი

## პროზა

### რეცენზიის მაგივრად

„სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“-ს ფინანსური მხარდაჭერით, გამომცემლობა „კალმოსანმა“ ჩვენი თანაქალაქელის, ნიჭიერი შემოქმედის ალექსანდრე კაკიაშვილის პროზაული კრებული „შემლითა ნეკროპოლისი“ დასტამბა (რედაქტორი მურად მთვარელიძე), სადაც თავმოყრილი ნაწარმოებების უმრავლესობას უკვე იცნობს „ლიტერატურული საშური“-ს მკითხველი.

...იმ დღეს ყავა დავლიეთ კაფეში. თან კრებულებს მაჩუქა. პირმშოსავით დასცქეროდა პირველ წიგნს...

წიგნზე ვისაუბრეთ და იმ ზოგადსაკაცობრიო პროცესებზე, მოურჩენელი სენივით რომ მოსდებია სამყაროს და ადამიანებს.

სამშობლოს დაუსრულებელი ჭირ-ვარამი აფიქრებს, როგორც ერთ რიგით ქართველს. პათეტიკური ოვაციისგან თავისუფალი, რელიგიურ-პატრიოტულ ფანატიზმს აცდენილი ნუხილია ამ ფიქრში და ცისა და ოკეანის სილურჯედ ჩაღვრილა მის მზერაში. იგრძნობა, სათქმელი ბევრი აქვს, მაგრამ სიჩუმეს ამჯობინებს. ალბათ, არც ღირს ცინიზმით, სიყალბითა და დაუნდობლობით გაჟღერებულ სამყაროში სიტყვის დაძვრა... მხოლოდ საკუთარ თავთან განმარტოებისას, ფურცელზე ახმაურებული სიტყვები არღვევენ ამ სიჩუმეს. ადამიანურ ცოდვებზე, ტკივილებზე, სიხარულზე წერს, რეალურ და ირეალურ სამყაროს შორის ზღვარზე.

ლიტერატურის, მწერლობის წიაღი პროზის სხვადასხვა ფანრს მოიცავს. ალექსანდრე კაკიაშვილი თითქმის ყველა მათგანს საკუთარი ხელწერით უხდის ხარკს. ამიტომაც, ცალსახად მხოლოდ ერთ ფანრს არ განეკუთვნება მისი შემოქმედება.

ასე ჩნდება სხვადასხვა ეთნოსისა და გარემოს მკვიდრი პერსონაჟები – თავიანთი ქვეყნის ტრადიციებითა და ცხოვრების წესით, ჩვეულებრივი და უჩვეულო ცნობიერებით:

ვიღაც გარდაცვლილი სულელებისგან საუკეთესო მოგონებებს ყიდულობს; ვიღაც პურისგან გამოძერწილ ჩიტებს ფრენას ასწავლის და თავისუფლების სურვილით ალესილი, ჩიტად ყოფნას ლამობს;

ვინ ბედნიერების საძიებლად სვლას უფლის კარამდე ჭუჭყიან სიარულს ამჯობინებს;

ვინ, საკანში გამომწყვდეული, თავის წილ ცის ნაგლეჯზე წერს თანაგრძნობის საფასურს, მელნად კი საკუთარ ცრემლს იყენებს;

ვიღაც ჯერარობილი შვილის სახელზე ბრონეულის ხეს რგავს, რითაც მისი წინაპრების ტრადიციას – ბრონეულის მარცვლებით მომავლის გამრავლებას აგრძელებს;

ვინ მეორე მსოფლიო ომში გმირულად დაღუპული, ტყეში, თხრილში ჩაგდებული საყვარელი მამაკაცის სხეულის მიწისთვის მისაბარებლად ზამთრის ცივ ღამეში ფეხმძიმე მიდის და მშვიდი მგლებისაგან დანდობილი, ახალშობილით ხელში, დაუნდობელი ადამის მოდგმის ცხოველური ჟინის მსხვერპლი ხდება.

ვიღაცას არ სურს, რომ ბავშვური სიხალისე დაკარგოს და უღმერთოდ დარჩენილი ადამიანებით დიდი გაიზარდოს...

დრო ხშირად მონაცვლეობს წარსულსა და აწმყოს შორის... უნებურად, კამიუსა და კაფკასკენ გაგექცევა გონება მკითხველს. ზოგჯერ კი, დავარცხნილ-დანყობილ სიტყვებს შორის გრ. რობაქიძისეული ბუნდოვანებაც გამოკრთება...

... იმ დღეს ყავა დავლიეთ და ვისაუბრეთ...

ერთსულოვნად იმაზე შევჯერდით, ამ ქაოსურ, გაგულგრილებულ სამყაროში ბოლო სიტყვა ღმერთს რომ ეკუთვნის...

ეკატერინე ბაქრაძე



ალექსანდრე კაკიაშვილი

### ბრონეულის ხე

ენატრებოდა, უსაშველოდ ენატრებოდა... ხანდახან ისე ძლიერ, რომ ოთხკედელში გამომწყვდეული თავის ნარზე წამოწვებოდა ხოლმე და მასთან შეხვედრის პირველ დღეს იხსენებდა. იმ სიხარულს, იმ პანანინა თვალბის შემოფეთებას, იმ ციციკნა ხელის თითებით მის ვეებერთელა ცერზე ჩაბლაუჭებას, იმ პირველ შესციცინებას, პირველად გაგონილ იმ ხმას, უწინდელივით ყურს რომ ესმოდა და მის გაუსაძლის გამძლეობას იმედით ავსებდა. იმედით, რომელიც აცოცხლებდა და, რომელსაც ყოველგვარი განსაცდელისათვის უნდა გაეძლო ამ ღვთისგან მივინყებულ, მიკარგულ მხარეში.

ენატრებოდა ის დღე, როცა ხელით მისი მუცელი ეჭირა და ხელზედ გადანვენილს ქათქათა ტანზე საგანგებოდ განელეებულ წყალს ასხამდა. ენატრებოდა წყლის დასხმით გახალისებული პირმშოს სიცელქე და ამ სიცელქით სასვე წყლის ვარცლში მისი პანანინა ფეხების ჭყაპა-ჭყუპი.

ენატრებოდა და ნუხდა, რომ მისგან მარცვალ-მარცვალ წარმოთქმული „მამის“ გაგონებასაც ვერ ეღირსა ვერც მაშინ და ვერც მას მერე, როდესაც ის დამშვენდა, გაიფურჩქნა და გაზაფხულზე კვირტიდან გამოხეთქილ ყვავილს დაემსგავსა.

ენატრებოდა და ეგუებოდა! ეგუებოდა სიმორეს, უუნარობას, მიუღებლობას, და წყინდა... წყინდა, რომ მისი გაგებაც არ უნდოდა. ანდა რა უნდა გაეგო კაცისა, რომელსაც საკუთარი საზომი ჰქონდა და ამ საზომით წონიდა თავისსავე ცოდვა-მადლს. ან რატომ უნდა გაეგო? მას ხომ არავინ ავალბებდა და არც არავის შეეძლო დაევალებინა, მასთან ესაუბრა და, თუნდაც, სასხვათაშორისოდ, მიზეზი მაინც გაერკვია...

ენატრებოდა და მალავდა! მალავდა საგულდაგულოდ. ისე უფრთხილდებოდა, როგორც ერთადერთ ღირებულ გრძნობას, რაც გააჩნდა. საგანძურად ჩამარხულ მოგონებებს კი ამოქროლებული ფიქრის სიო წარსულის მტვერს გადააცლიდა ხოლმე და მის გონებას შუაგულ უდაბნოში ქვიშის ქარიშხალივით თავს დაატყდებოდა. ისიც მარტოობის თავსაბურავს სახეზედ აიკრავდა, რათა ქარიშხლის მონაქროლი წარსულის მტვერისგან თავი დაეღწია და თუნდაც, წამით მაინც, შეძლებოდა, აწმყოთი ეცოცხლა. თუმცა, მცდელობის მიუხედავად, ეს არასოდეს გამოსდიოდა. სახეზედ შემოხვეულ საბურველს გისოსზე შეაბამდა ხოლმე და ნარზედ წამოგორებული ცის ნაგლეჯს აშტერდებოდა.

სხვა რა საქმე უნდა ჰქონოდა ოთხ კედელში გამომწყვდეულ ტუსალს, გარდა იმისა, რომ მოზღვავეებულ ფიქრთან ომი გაეჩალებინა და აწ უკვე თავსაგადამხდარი ამბების ტყვეობაში არ აღმოჩენილიყო. იყო კიდეც ისეთი წამები, როდესაც ფიქრი ოცნების აბჯარს იხსამდა და გულმოსული, მემამობხე მეომარივით ველად იჭრებოდა. ეს მაშინ ხდებოდა, როცა თავისუფლებაზე ფიქრობდა. მიუხედავად სახეცვლილი ფიქრისა, შტორმი უმალ თავს დაატყდებოდა, კვლავ გაუსაძლისს ხდიდა მის იმჟამინდელ მდგომარეობას.

მისი მხოლოდ საკნის თანაზიარსა და იმ ცის ნაგლეჯზე გამოჩენილ კაშკაშა ვარსკვლავს ესმოდა, რომელიც გისოსებიდან მოჩანდა. სამწუხაროდ, ასეა: თუკი კაცს ფეხი დაგიცდა და ცხოვრებისგან გამომწყვდეულმა უსამართლობამ დაგჯაბნა, მყისვე ყველა შენ განგიკითხავს, ყველა ეცდება, ისედაც უსამართლოდ ბრალდებულს, ბრალდება დაგიმატონ და ურცხვად ის

დაგაბრალონ, რასაც შენი გონებაც კი არ დაუშვებდა. მერე კი, პატიოსანი სახითა და სუფთა სინდისით ცხოვრების ჭაობში ღრმად ჩაფლულვებმა, ქვეყნის დასანახად, თავისი ბინძური საცვლები აივანზედ გამოჰფინონ და თაკარა მზეს მიანდონ დამპალი თეთრეულის გამრობა. სხვას რას უნდა ელოდო მათგან? ძაღლები ხომ არ არიან, რომ დაგინდონ? ისედაც დაკბენილს, თავი აგარიდონ, ან თანაგრძობით ტყავაცლილი, სისხლიანი თათი მოშუშებამდე გილოკონ. ისინი ხომ „ადამიანები“ არიან! ღვთისაგან სულქმნილი და მის ხატად მოვლენილი. ერთადერთი, ვისაც ამ მდგომარეობაში თანაგრძობა, მოსმენა და, ყოველგვარი დადანაშაულების გარეშე, მისი სიტყვების გულთან მიტანა შეუძლია, ის ადამიანები არიან, ვინც ამ განცდის საფასურს ნარზედ წამოგორებულნი, თავის წილ ცის ნაგლეჯზე წერენ, მელნად კი თვალის უპიდან გადმომდინარ ცრემლს იყენებენ.

ჰარისთვის ასეთი ადამიანი თავისი საკნის თანაზიარი უილიამი გახლდათ. ჰარი მაშინ ახალგაზრდა იყო, უილიამი კი თავისი ცხოვრების 65-ე წელს ასრულებდა და აქედან თითქმის ნახევარ ცხოვრებაზე მეტს ამ საპრობილემო ატარებდა. მკვლევლობისთვის ბრალდებულს, მიუხედავად არაერთი საჩივრისა, არ სწყალობდნენ. არც მის ასაკსა და სანიმუშო ქცევას ითვალისწინებდნენ და ყოველ ჯერზე უარს ეუბნებოდნენ. ისიც, ბედსმეგუებული, პირნათლად იხდიდა თავის სასჯელს და საკნიდანაც იშვიათად გამოდიოდა. არ სურდა, კიდევ რაიმე შარს გადაყროდა და ისედაც დამძიმებული სასჯელი უფრო მეტად დაემძიმებინა. ან რაღა დროს მისი გაუთავებელი დებოში და სისხლის აჩქროლებისგან თავშეუკავებელი ქცევა იყო? ამისთვის არც ღონე უჭრიდა და არც შესაბამისი ასაკი აღარ ჰქონდა. ჰარი კი, იდეალებით აღსავსე მემბოხე, სხვის დასაცავად მუდამ მზად მყოფი, მებრძოლი და თავგამოდებული ყმანვილი იყო. გაუთავებელი ჩხუბისა და ხულიგნობის თავკაცი დროს იზოლირებულ, ბნელ საკანში ატარებდა, მაგრამ რა? როგორც კი ბნელი საკნიდან გამოსული დღის სინათლეს იხილავდა, მისთვის ერთვებოდა მორიგ „თავგადასავალში“ და კვლავ სიბნელის მობინადრე ხდებოდა. ციხის ზედამხედველებსაც მობეზრებული ჰქონდათ მისი ასეთი გაუგონარი სიურჩე. რა გზით და რა ხერხით არ ცდილობდნენ მის „ჭკუაზე მოყვანას“, მაგრამ ყოველი მცდელობა კრახით სრულდებოდა. შიშიც ჰქონდათ, მათთვის რაიმე არ დაეშავებინა. ამიტომაც, მის დასაცხრობად და გასაკავებლად ჯგუფად გროვდებოდნენ და თავს ისე ესხმოდნენ. მერე კი, რეზინის ხელკეტებით ნაცემ-ნაბეგვს, კვლავ ბნელ საკანში ამწყვედნენ და მთელი კვირის განმავლობაში ამომშლილებდნენ, მაგრამ ჰარი ჭკუას მაინც ვერა და ვერ სწავლობდა. რას ისწავლიდა! ან სად გინახავთ, თვალუნვდენელ ველზე მორბენალი ველური ცხენი მათრახისა და ლასოს შიშით შეჩერებულა?!

რომ არაფერმა გაჭრა, ციხის ადმინისტრაციის ბრძანებით ზედამხედველმა ჰარი მოხუცი უილიამის საკანში შეასახლა. იფიქრეს, უილიამთან თანაცხოვრებით გონს მოეგებოდა, მას მიბაძვდა და კეთილსინდისიერად მოიხდიდა სასჯელს და ამ გაუთავებელ ჩხუბსა და დებოშს თავს დაანებებდა. პატივს სცემდა უილიამის ასაკს, ციხეში გატარებული წლებისგან მიღებულ გამოცდილებებს და მის რჩევებსაც გაითვალისწინებდა. ასეც მოხდა. ჰარისთვის უილიამი ერთგვარ ავტორიტეტად იქცა. მის ნათქვამს უღრმავდებოდა და ითვალისწინებდა კიდევ. სწორედ, მოხუცის დამსახურება იყო, მის გაუთავებელ დებოშს რომ ბოლო მოეღო. რასაკვირველია, ჰარი არავის ზედმეტს არ ათქმევინებდა და არც შეარჩენდა, მაგრამ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩხუბში ჩართვისგან უკვე თავს იკავებდა. ხვდებოდა მოხუცის გამოცდილებისაგან მიღებული მაგალითების სისწორეს და ითვალისწინებდა კიდევ.

არც იყო გასაკვირი, რომ ჰარი და უილიამი მალევე დამეგობრდნენ. ისინი ხომ ერთ საკანში გამოკეტილი თანამოსახლენი იყვნენ. ერთდროულად იძინებდნენ, იღვიძებდნენ, ბადრაგის მიერ შემოდგმულ ციხის ულუფასაც ერთად შეექცოდნენ, ერთად ფიქრობდნენ და ერთი საკნის გისოსიდან ამოგლეჯილ ცასაც თანაბრად იყოფდნენ. ერთურთის უთქმელად ესმოდათ.

აი, მაშინ, როდესაც გვარიანად დაღამდებოდა და ვერცხლისფრად მოელვარე მთვარე ცის ნაგლეჯზე გამოჩნდებოდა, სწორედ მაშინ იწყებოდა დუმილის მზეობა და ერთურთის ტკივილთან უთქმელად შეხიდება. თითქოს ამ ორ განსხვავებულ ადამიანს შორის ყოველგვარი ზღვარი იშლებოდა და ერთ ფიქრად ეწყობოდა ჭადრაკის იმ დაფაზე, რომელიც სატუსალო საკნის რკინის მაგიდაზე გაშლილიყო და პაიკის ოცნების ამბავს არაკად ჰყვებოდა. რა თქმა უნდა, პაიკები ჰარი და უილიამი იყვნენ, მთელი მათი აუხდენელი ოცნებებით, სურვილებითა და იმ გაუსაძლისი ტკივილით, რომლის გამოც, მთელ ღამეს ნარზე წამოგორებულნი, თეთრად ათენებდნენ. ოცნებაც სხვადასხვაგვარი იყო, თუმცა, მათ რომ შეკითხვოდით, სასაცილო პასუხს გაგცემდნენ. არა იმიტომ, რომ რეალური პასუხის გაცემა ეძნელებოდათ. არამედ, იმ გამხელილი პასუხისაგან გახსენებულ ტკივილს უფროხდნენ, რასაც მათი ცხოვრება ერთიანად გაენამებინა.

5 წლიანი თანაცხოვრების შემდგომ, უილიამის ციხიდან განთავისუფლების დროც მოახლოვდა. რასაკვირველია, ჰარის ეს ამბავი უხაროდა, მაგრამ გულის სიღრმეში ადარდიანებდა კიდევ. არ სურდა, უფროსი მეგობრის გარეშე

დარჩენილიყო და მარტობაში მყოფი კვლავ ათასგვარ შარში გახვეულიყო. ყველაზე მეტად კი უილიამის წილი ცის ნაგლეჯის მისაკუთრება ეძნელებოდა. იმ ცის, რომელსაც სევდანარევი ფერები ამშვენებდა და, რომელიც ამ ორი ტუსაღის თავშესაფრად ქცეულიყო. მაგრამ რა ექნა? ამას ხომ უილიამს არ ეტყოდა, არ აგრძობინებდა და მის ასე ნანატრ თავისუფლებას თავისი დარდით არ დაამძიმებდა? ამიტომ ცდილობდა, პატიმრობაში მყოფი უილიამის უკანასკნელი დღეები ერთგვარად გაემხიარულებინა. ხან რა ამბავს უთხრობდა და ხან რას, თუმცა, უილიამს კარგად ესმოდა ჰარის ამგვარი ქცევის არსი და ისიც შეუმჩნეველად წუხდა მოახლოებულ განშორებაზე.

მოხუცი ცდილობდა, რომ ჰარი წასვლამდე საგულდაგულოდ დაემოძღვრა. მისთვის არაერთი მაგალითი მოეყვანა და ამ მაგალითების წყალობით მეგობრის ცხოვრება სასიკეთოდ შეეცვალა. ეს დამოძღვრა სრულებითაც არ ჰგავდა დამოძღვრას. ეს უფრო აღსარება იყო, – ზიარებისა და შენდობის გარეშე.

უილიამის განთავისუფლების წინა ღამითაც ასე მოხდა. „სააღმსარებლო“ საკანში, სადაც საკმეველის სუნის მაგივრად, საერთო საპირფარეშოდან ამოყროლებული ციხის კანალიზაციის გულისამრევი სუნი იდგა, ნარზე წამოწოლილი და ცის ნაგლეჯის თანაზიარი ორი ცოდვილი ერთურთს ესაუბრებოდა.

- უილიამ, აქედან, რომ გახვალ, მემფისში ჩასულმა, ჩემი თხოვნა არ დაივიწყო.
- ჰო, არ დამავინწყდება.
- იცოდე და დაიმახსოვრე! ყველაზე მოზრდილი ჩიზ-ბურგერი, ყველის სოუსში ამოვლებული ჩემ მაგიერ შეჭამე და დამიჯერე, რომ მე აქ ვიგრძნობ.
- კარგი, ჰარი. ასე ვიზამ. სხვას რას დამავალბებ? რა გინდა, რომ გავაკეთო?
- არაფერი, უილიამ. არაფერი...
- კარგი რა, ჰარი. ნუთუ არ გინდა, რომ სიდნის შენს მაგივრად წერილი გავუგზავნო? ვეტყვი, ვინც ვარ და შენგან მოკითხვასაც გადავცემ, ან სულაც მივალ მასთან და შენს შესახებ მოვუთხრობ.
- არა! არ მინდა!
- კი, მაგრამ რატომ?
- შენც კარგად იცი, რატომაც. ამ დამპალ ჯოჯოხეთში გინახავს, რომ ჩვენ სანახავად ვინმე მოსულიყო? ვინმეს თავი შეენუხებინოს?
- ეგ კი, მაგრამ მე, პირადად, არ ვისურვებდი, რომ ჩემს ქალიშვილს აქ, ამ მდგომარეობაში ვენახე. არა მგონია, შენც გაგხარებოდა, სიდნის აქ რომ მოენახულებინე.

– გამიხარდებოდა! მე შენსავით არ ვფიქრობ. ერთხელ მაინც რომ მოსულიყო, სხვაგვარად იქნებოდა ყველაფერი. არ ჩავთვლიდი, რომ ფეხებზე ვკიდევარ და ბრძოლის მიზეზიც მექნებოდა, მაგრამ ვის სჭირდება ჩემნაირი ან შენნაირი პატიმრის არსებობა? – შვილს? კარგი რა, უილიამ! ნეტავ შენ თვითონ მაინც თუ გჯერა მაგ ზღაპრის. რამდენი წელია რაც აქ ზიხარ?

– 33

– ამ ხნის განმავლობაში, რამდენჯერ მოგაკითხა შენმა ქალიშვილმა, რამდენჯერ?! რას გაჩუმიდი? არ გინდა პასუხი. ისედაც ვიცი, რომ არც ერთხელ! ეეჰ, უილიამ, შენი და ჩემი გულის ამბავია, რომ მათთან განშორება ასე, ერთიანად გვეკლავს და გვანადგურებს, თორემ მათ სულ არ აინტერესებთ, ამ ციხიდან ცოცხლები გავალთ თუ არა. იმაშიც დარწმუნებული იყავი, რომ შენ დანაზოგსაც სიამოვნებით დახარჯავენ შენი სიკვდილის მერე და, თან, ისე, რომ ნამუსიც არ შეაწუხებთ. განა რამდენს ვითხოვთ მათგან? გარდა იმისა, რომ მარტონი არ ჩავეხრჩეთ ამ სიდაძლეში და მიზეზი მოეცათ. ის მიზეზი, რომელიც სიცოცხლის გაგრძელებაში დაგვარწმუნებდა. შენ კი, სიდნის მივწერო... კარგი რა, უილიამ.

– ვიცი, რომ მართალი ხარ. არც გედავები, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ისინი ხომ ჩვენი შვილები არიან. არ შეიძლება მათი ასე უარყოფა, მიუხედავად იმისა, რომ თავად უარგვყვეს. ჩვენ მაინც ვალდებულები ვართ, მათთვის ყველაფერი გავაკეთოთ.

– შენ შეგიძლია და გააკეთე, ოლონდ, მე თავი დამანებე. ან საერთოდ, რა ვალდებულებაზეა საუბარი? უილიამ, ვერ ხედავ, სად ვართ? ან ვერ ამჩნევ, რომ ისინიც ვალდებულნი არიან ჩვენ წინაშე? ძალიან ცდები, თუ გგონია, რომ აქედან გასვლის შემდეგ ციხის წინ დაგხვდებიან, ან მემფისში ჩასულს, წითელ ხალიჩას დაგიგებენ. იმასაც ელოდე, რომ შესაძლოა, ცხვირწინ მიგიჯახუნონ კარი და ქუჩაში გამოგისროლონ.

– არა, ჩემი მელისა ასე არ მომექცევა.

– ღმერთმა იცის, როგორ მინდა, ვცდებოდე, მაგრამ მაშინ მიხვდები ჩემს სიმართლეს, როდესაც ტროტუარზე შენსავე ჩემოდანზე ჩამოჯდები და ცხვირწინ მიჯახუნებულ სახლის კარს ცქერას დაუნყებ. ამ ხნის განმავლობაში შენ დარიგებებს ვისმენდი, ვითვალისწინებდი, მაგრამ ახლა, როგორც უფროს ძმას, ისე გთხოვ! ნუ მიხვალ მელისასთან. ჩადი მემფისში, რამდენიმე დღით სასტუმროში გაჩერდი და წერილით შეატყობინე, რომ თავისუფალი ხარ და მისი ნახვა გინდა. დამიჯერე, ვიცი, რასაც ვამბობ. მისთვისაც რთულია ჯერ უნახავი მამის გამოცხადება და მიღება. იმ მამის, რომელსაც მისი აღზრდისა და გაზრდისთვის თითიც არ გაუნძრევია. ნურც მას გაანადგურებ შენი უეცარი

მისვლით და ნურც შენ მოიკლავ გულს. დამიჯერე, გთხოვ! მათ რომ ვუნდოდეთ, ან ვჭირდებოდეთ, აქამდე ვგახსენდებოდით და მოვიდოდნენ.

– მაგასაც ვნახავთ. ჩავალ მეფისში და მელისასთან სახლში მივალ. ის კი მიმიღებს, ჩამეხუტება და მეტყვის, რომ ვუყვარვარ. აი, ნახავ, თუ ასე არ იქნება. მერე წერილსაც მოგწერ და დარწმუნდები, რომ ცდებოდი.

– მე ჩემი გითხარი. დანარჩენი უკვე შენ იცი.

– ჰარი, ნუ მაგიჟებ! დავიჯერო, სიდნისთან არ მიხვალ იმის გამო, რომ გეშინია?

– მე არაფრის არ მეშინია. უბრალოდ, არ მინდა! არ მინდა, რომ ჩემი გამოჩენით მას ცხოვრება ავურო. ისედაც, წლებია, რაც უჩემობას შეეჩვია. ვინ იცის, იქნებ მკვდარიც ვგონივარ? ავდგე და გამოვეცხადო მკვდრეთით აღმდგარი და ვუთხრა: გამარჯობა, სიდნი. მე ცოცხალი ვარ! არა, უილიამ. არ ღირს... სჯობს, ცხოვრება უჩემოდ გააგრძელოს, ვიდრე ჩემი არსებობის რცხვენოდეს. კარგი იყო, ეს ყველაფერი არ მომხდარიყო, მისთვის საკადრისი მამობა გამენია, გამეზარდა, აღმეზარდა და მეპატრონა, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩემი ბედისწერაც ეს ყოფილა... შენც უკეთ იცი, რას ნიშნავს აქ, ამ კედლებში შვილის მონატრებისაგან განამებული ღამის თენება. მეც, შენსავით, ერთი სული მაქვს, ამ ჯოჯოხეთიდან თავს როდის დავაღწევ და ჩემს სიდნის როდის ვნახავ! თუმცა, არ შეიძლება! გაიგე, რომ მათ უკვე თავიანთი ცხოვრება და ცხოვრების წესი აქვთ. იქ კი, ჩვენი ადგილი არ არის! მაინც ვერ ვხვდები და არც მესმის, ამდენი რამის მნახველი კაცი, ასე რატომ ფიქრობ? რად მიგაჩნია, რომ მელისა მიგიღებს? რა გაგიკეთებია მისთვის, რა? – არაფერი! არც კი გიცნობს, უილიამ. შენ მის დაბადებამდე მოხვდი აქ და უკვე ათწლეულებია, რაც აქ ლპები! მაპატიე, მაგრამ ასეა.

– განა არ მესმის, რასაც მეუბნები? მესმის, ჰარი, მაგრამ გულს რა ვუყო, მითხარი? როგორ გავძლო, რომ არ მივიდე, ჩემი ერთადერთი, უნახავი ქალიშვილი გულზე არ მივიხუტო?! მუხლებზე დავუჩოქებ, პატივასაც ვთხოვ და შევეხვენი, რომ შანსი მომცეს. ვიცი, რასაც ვამბობ! მე ამას ვგრძნობ, გესმის? ის ჩემი შვილია და ჩემზე უკეთ არავინ იცის, მის გულში რა ტრიალებს! ისიც კარგად ვიცი, რომ დედამისი იმ ბრონეულის ხეზე უამბობდა, რომელიც მის სახელზე, ჩვენი სახლის უკან დავრგე.

– რა ბრონეულის ხე? შენ სულ გააფრინე? რა შუაშია ხის დარგვა, როდესაც საუბარი ერთმანეთისთვის უნახავ მამა-შვილზეა?

– ეეჰ, ჰარი... ის უბრალო ხე არ არის! ჩემი წინაპრების ტრადიციაა.

– თუ ღმერთი გნამს, სისულელეს ნუ ბოდავ.

– სისულელე არ არის. ჩვენს ოჯახში პირმშო თუ შეეძინებოდათ, მის სახელზე ბრონეულის ხეს რგავდნენ, რომელსაც ჩემი წინაპრები ნაყოფიერებისა და გამრავლების ხედ მიიჩნევდნენ. დარგვისას კი, მიწას შეულოცავდნენ და ღმერთს თხოვდნენ, რომ ამ ხის ნაყოფის მარცვლების მსგავსად, გაემრავლებინა პირმშოს მომავალი. მეც ასე მოვიქეცი, როდესაც ჩემი მეუღლის ფეხმძიმობა შევიტყე. ჩემი ჯერ არდაბადებული შვილის სახელზე ბრონეულის ხე დავრგე. დარწმუნებული ვარ, მელისას ამის შესახებ ყველაფერი ეცოდინება... მე მაინც მგონია, რომ რაც უნდა მოხდეს ცხოვრებაში, რა გზითაც უნდა გატაროს ცხოვრებამ, მაინც ვერ შეძლებ და ვერ გაიმეტებ მუხლზე მდგარი მამის მონანიებას. გული არ მოგცემს უფლებას, რომ ხელი კრა. ასე მნამს.

– კარგი, მე რომ შენთვის ცუდი მდომოდა ან ფეხებზე რომ მკიდებოდა, ამდენს და ასეთ რამეს არც კი გეტყოდი.

– ვიცი, ვიცი, ჰარი. განა ვერ ვხვდები? მაგრამ მე მისი გულისა მნამს.

– უილიამ, მთვარეს შეხედე.

– შევხედე, მერე?

– ამჩნევ, ამ ღამით ეს მთვარეც როგორ სხვაგვარად ანათებს?

– როგორ სხვაგვარად? მთვარე მთვარეა და ისევე გაანათებს, როგორც აქამდე ანათებდა.

– ნუთუ მართლა ვერ ამჩნევ? ის ხომ თავისუფლებისფრად ანათებს! შენ გამო კაშკაშებს ასე, რადგან იცის, რომ ბებერი უილიამი ხვალ თავისუფლების გზას დაადგება. და ახლა არ თქვა, რომ მე რამე მეჩვენება.

– რაღაცას იგონებ. აჯობებს, დავიძინოთ. ხვალ გამოუძინებელი ხომ არ ნავალ? ან შენ, გამოუძინებელმა როგორ უნდა გამაცილო?

– ჰო, დავიძინოთ, უილიამ. დავიძინოთ...

საკნის ორმა მეგობარმა ერთმანეთს ზურგი აქცია. კედლისკენ გადაბრუნებულბმა თავზე ზენარი გადაიფარეს და ეცადნენ, დაეძინათ, მაგრამ ამაოდ. უილიამი ხვალინდელ დღეზე, თავისუფლებასა და მელისასთან შეხვედრაზე ფიქრობდა. ჰარი კი, უილიამზე. წინასწარ გრძნობდა, რომ მეგობრის დაჟინებული სიჯიუტე კარგს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ რას გაანყობდა? უილიამი მაინც ისე მოიქცეოდა, როგორც გული უკარნახებდა. ჰარის კი არ სურდა, რომ მელისას უარით გასტუმრებულ მეგობარს რაიმე მოსვლოდა. ფიქრობდა და ერთადერთი ქალიშვილი ახსენდებოდა. იცოდა, რომ ციხიდან გასვლის შემდეგ, უილიამით არ მივიდოდა და თავის არსებობას თავს არ მოახვევდა, მაგრამ გულის სიღრმეში მასაც სურდა, რომ სიდნის მისთვის ეპატივებინა და როგორც მშობელი, ისე მიედო.

ამ ფიქრთა ზღვაში მოელვარე მთვარეც ნელ-ნელა ფსკერზე ჩაესვენა და მცხუნვარე მზის სხივებმა მარგალიტებივით ააკაშკაშა ტუსალთა „ფიქრის

ზღვის“ ურჩი შხეფები. უილიამი მოუსვენრობამ შეიპყრო. დილაუთენია უკვე ფეხზე იდგა და ბარგს საგულდაგულოდ და ფრთხილად ალაგებდა, რათა ჰარის არ გაღვიძებოდა. ან რა ჰქონდა შესაგროვებელ-ჩასალაგებელი? მაგრამ მაინც მოუსვენრად საქმიანობდა. უილიამის თავისუფლებისკენ ასეთი სწრაფვა ჰარის არ გამოპარვია. ვითომც ახლად გამოღვიძებოდა, ისე გადმოტრიალდა და თვალეები მოიფშვნიტა.

– ადრიანად გაგიღვიძია.

– ასეა, მეგობარო, სადაცაა, ციხის კარს ფართოდ გამიღებენ და თავისუფლების ნანატრ სურნელსაც შევიგრძნობ! ჰოდა, მელისასაც ვნახავ.

– ეგ არ დაგავინყდეს.

– კარგი რა, ჰარი. ამაზე ხომ ვისაუბრეთ? ისიც იცი, რომ აზრს არ შევიცვლი.

– რა ჯიუტი კაცი ხარ!

– შენ ვის რას ეუბნები? შენი სიჯიუტის გამო შემოგასახლეს ამ საკანში და არა ჩემი მარტოობის გამო.

– ეეჰ, აზრი არ აქვს.

– გირჩევნია, ჩამოხტე მაგ ნარიდან და მომეხმარო.

– მაინც რაში?

– როგორ თუ რაში? ვერ ხედავ, ვალაგებ?

– და რა გაქვს, რომ ალაგებ? მთელი ციხის პატიმართა ნივთები რომ შეაგროვო, ერთ მოზრდილ ჩანთასაც ვერ გაავსებ.

– რაც მაქვს, იმას!

– ჰოდა, ჩაალაგე. თუ ვერ მოერევი, მითხარი და მაშინ ჩამოვბრძანდები ამ ნარიდან.

– ჰარი.

– რა იყო?

– ხომ კარგად იქნები?

ჰარიმ უილიამს ხელი აუქნია და კედლისკენ შეგნებულად გადატრიალდა. არ სურდა, მეგობარს მისი ემოცია შეემჩნია და ცრემლი დაენახებინა, მაგრამ უილიამს რას გამოაპარებდა?

– ჰო, ვიცი, ძნელია. არ გინდა ეს სენტიმენტები. ამით უფრო...

– შენ თუ მიდიხარ, ნადი რაა!

– რა გაჩხუბებს? მე შენთვის გეუბნები.

– არ ვჩხუბობ. უბრალოდ, გაჩუმდი და მაგაზე საუბარს ნულარ გააგრძელებ.

– გავჩუმდი! ჰარი...

– ახლა რაღა მოხდა? ვერ ჩაალაგე?

– ეს გამომართვი, ჩემი მისამართია მეფისში. აქედან რომ გამოხვალ, მესტუმრე. თითო ბოთლი ლუდი დავლიოთ და ვისაუბროთ. ხომ მოხვალ?

– აბა რას ვიზამ!

საკნის კარი ღრჭიალით გაიღო და ციხიდან გათავისუფლების ბრძანებით ხელში მდგარი ზედამხედველი გამოჩნდა.

– უილიამ კენდალ, აკრიფე შენი ნივთები და მოშორდი აქაურობას, ბებერი პარაზიტო!

ჰარი ნარიდან ჩამოხტა, მეგობარს გადაეხვია და გამოემშვიდობა. ერთმანეთისთვის სიტყვაც არ უთქვამთ, მაგრამ თვალეებით ერთურთს აქამდე უთქმელიც გაუზიარეს.

– დაუჩქარე, კენდალ, სანამ გადავიფიქრეთ და ისევ აქ არ შემოგათრიეთ!

წავიდა ჰარის ერთადერთი მეგობარი და საკნის თანაზიარი მოხუცი უილიამი. მარტო დარჩენილი ჰარისთვის იმ საკანში ყოფნა გაუსაძლისი გახდა. ყველაფერი უილიამის თავს ახსენებდა და ამიტომ ცდილობდა, ჩვეული გზით ბნელი საკნის მაცხოვრებელი გამხდარიყო. წელს წელი მისდევდა, თუმცა, მოხუცისგან სიტყვაც არ ისმოდა. არც წერილი, არც სატელეფონო ზარი. არაფერი იყო, რაც მის არსებობაში დაარწმუნებდა. ვინ უწყის, რამდენჯერ წარმოიდგინა ჰარიმ უილიამისა და მელისას შეხვედრა და რა არ იფიქრა? ამ ფიქრისა და საკუთარი ტყვილის ტყვეობაში მყოფმა, სასჯელის ამონურვამდეც მიალწია. ციხის ვეებერთელა კარიდან გამოსულს ნაბიჯის გადადგმაც ეთაკილა. არ სურდა, თავისი „განწირული“ არსებობით სამყარო დაემძიმებინა, მაგრამ მეგობრისა და სიდნის ხილვის სურვილმა მაინც თავისი გაიტანა და მოხუცის ამბის გასაგებად გაეშურა.

მემფისში ჩასული, უილიამის სახლის მისამართზე მივიდა. კარზე დააკაკუნა და ორი ნაბიჯით უკან დაიხია. კარი ახალგაზრდა გოგონამ გაუღო, რომელსაც ალკოჰოლის სუნი ასდიოდა.

– გამარჯობა.

– რა გინდა?

– უილიამს ვეძებ. უილიამ კენდალს.

– აქ არ არის! მოშორდი აქედან!

– ერთი წუთით. იქნებ მითხრა, სად შეიძლება მისი ნახვა?

– ვინ ხარ? ან საიდან იცნობ უილიამს?

– მე ჰარი ვარ. უილიამი ჩემი მეგობარია. სასჯელს ერთად ვიხდიდით. თქვენ მელისა ხართ, ხომ?

ჰარის სახელის გაგონებაზე გოგონამ გონება დაკარგა. გულწასული მელისა ჰარიმ სახლში შეიყვანა და იატაკზე დააწვინა. იქვე ტუმბოზე მდგარი

ლარნაკიდან ყვავილები გადმოყარა და გოგონას სახეზე წყალი დაასხა, გონზე რომ მოეყვანა. რამდენიმე წუთის შემდეგ, მელისა გონს მოვიდა. თვალეები გაახილა და ისტერიული ტირილი აუვარდა. ჰარი ცდილობდა დაემშვიდებინა. ანუგეშებდა, მაგრამ გოგონა ერთიანად კანკალებდა. ბლოს, როდესაც თავს მოერია და სიტყვის თქმის ძალაც მოიკრიბა, სთხოვა, რომ დალოდებოდა. ოთახში გასულმა მელისამ ჰარის წერილი გამოუტანა.

- ეს მისი წერილია. შენ დაგიტოვა... ახლა კი, ძალიან გთხოვ, დამტოვო.
- ნავალ, მაგრამ დარწმუნებული ხარ, რომ უკეთ ხარ?
- კი. არაფერი მომივა.
- კეთილი, ნახვამდის.
- ჰო, მანდ უილიამის ახალი მისამართი წერია და ადვილად მიაგნებ. ნახვამდის.

ჰარიმ წერილი გულის უბეში შეინახა და მახლობლად მდგარ სასტუმროსკენ გასწია. ნომერში შესული, მისივე სავარძელში ჩაეშვა და წერილის კითხვას შეუდგა:

„გამარჯობა, ჩემო მეგობარო. ვწუხვარ, რომ ამ წერილის მონერა მიწვევს, მაგრამ მიწვევს, ამით შენი სიტყვების სიმართლეში დამერწმუნებინე. ნეტავ შენთვის დამეფერებინა, მაგრამ ახლა რაღა დროს სინანულია! ჩემივე განცდამ მილაღატა, ჩემო ჰარი. ახლა იმ ჩემოდანზე ვზივარ, რომელიც შენ ახსენე და მელისას სახლის კარს გავყურებ. იცი, ჰარი?... ცხვირწინ მოჯახუნებული კარისაგან მიღებული ტკივილი კი არა, მტკივნეული იმ კარის მოჯახუნება იყო, რომლის ზღურბლს მიღმაც ვიდექი და ჩემს უძღურებას ვუყურებდი, თუ როგორ მომისროლა ერთადერთმა ქალიშვილმა და როგორ უსულგულოდ უარმყო. არადა, მე ხომ მთელი ეს წლები მასთან შეხვედრასა და მის ჩახუტებაზე ვოცნებობდი... ახლა აქ რომ იყო, ვიცი, კათხა ლუდზე წამიყვანდი, მაგრამ გამოვთვრებოდი და ეცდებოდი, რომ ეს ყოველივე გადამელახა, მაგრამ ვაი, რომ მარტო ვარ. არ გეწყინოს, ჰარი. არც გამიბრაზდე იმის გამო, რასაც ახლა ვაპირებ. ვიცი, რომ გამიგებ, როგორც მამა – მამას და როგორც კაცი – კაცს!

კიბესთან თოკი შევამჩნიე, ის ბრონეულის ხეც გაზრდილა და ტანიც აუყრია... ნავალ და ჩემივე დარგული ხის მსხვერპლად ვიქცევი. ხის, რომელიც ჩემს ოჯახში ჩემამდე ნაყოფიერების ნაყოფს ისხამდა, ხოლო ახლა უკვე სიკვდილის ნაყოფით დაიმშვენებს ტოტებს. მითხარი, ჰარი, სხვა რა დამრჩენია? უკვე არც ასაკი არ მიწყობს ხელს და აღარც ამ რეალობისა აღარ გამეგება. თითქოს დრომაც მიმატოვა და წარსულის ნაგავსაყრელზე მომისროლა.

ჰო, იმ ჩიზ-ბურგერის ჭამა ვერ მოვახერხე და ამის გამო არ გამიბრაზდე. გამიგებ შენ! ისე მეჩქარებოდა მელისას ნახვა, რომ მაგაზე არც მიფიქრია და არც გამხსენებია.

მაპატიე, ჰარი. თუ კი ოდესმე მოგენატრო, ცას ახედე ხოლმე და ის დრო გაიხსენე, როდესაც ნარზე წამონოლილებს ცის ნაგლეჯიც საზიარო გეკონდა! მშვიდობით, მეგობარო!”

სიმწრისა და სიბრაზისაგან შეშლილმა ჰარიმ, რაც ხელში მოხვდა, ერთიანად ყველაფერი დალენა. ხმაურზე სასტუმროს მეპატრონე ნომერში შევარდა და ქუჩაში გამოისროლა. ბრაზმორეული ჰარი უილიამის სახლთან მივიდა. სახლის უკან მდგარ ბრონეულის ხეს ისე გამეტებით ურტყამდა მუჭებს, სანამ თითების ფალანგები არ მოიტეხა და გადამსკდარი კანიდან სისხლმა არ იჩქეფა. შეშინებული და საკუთარი სიმცირით განამებული მელისა ფანჯრიდან

უმზერდა გავეშებულ ჰარის და ისტერიულად ტიროდა.

ამ ამბიდან ერთი კვირის თავზე ჰარი შინ დაბრუნდა. ისე ძლიერ სურდა ქალიშვილი ენახა, რომ გადანყვითა, მისთვის მხოლოდ შორიდან ეთვალთვალა და ახლოსაც არ გაკარებოდა იქამდე, სანამ თავად სიდნის არ გაუჩნდებოდა მამასთან სიახლოვის სურვილი.

მრავალმა წელმა განვლო, მაგრამ სიდნის ჰარი არც კი ახსენდებოდა. არც თვითონ ცდილობდა ნაბიჯის გადადგმას, რადგან გრძნობდა, რომ საერთო სისხლისა და ხორცის მიუხედავად, ის მისთვის დაკარგული და უარყოფილი იყო.


ისე გარდაიცვალა, რომ გამოჭედილ კუბოში მწოლიარესაც არ ეღირსა ერთადერთი ქალიშვილის გულწრფელი ცრემლით სხეულზე გადაფარებული სუდარის დასველება.

... ენატრებოდა... ერთადერთი ქალიშვილი უსამველოდ ენატრებოდა!..



### ახალი წიგნი

„არ მეპატია იქნებ ის, რომ ჩავინვი სანთლად...“



მაინც რა არის სიკეთე და მოყვასთა სიყვარული, როგორ ალამაზებს ადამიანს და, მითუმეტეს – შემოქმედს!

სწორედ სიკეთე ამოძრავებს ქ-ნი ჟუჟუნა ცენგირაშვილი-ქვრივიშვილის ყოველ განცდას და სიყვარულით აქვს მოგვირისტებული ლექსების ახალი კრებული, რომელიც ქ-ნი კლარა გელაშვილის მონდომებითა და რედაქტორობით დაიბეჭდა.

„წინამდებარე წიგნი ავტორის რიგით მეორე სულიერი შვილია. წაიკითხავთ და თავადვე

დარწმუნდებით მის გულწრფელობაში, მამულიშვილობაში, ღვთისა და ადამიანის წინაშე პირნათელობის უდიდესი განცდით და სურვილით გაფერებულ სტროფთა ჰარმონიულ მონაცვლეობაში...“ – წერს კლარა გელაშვილი ჟუჟუნას წიგნის წინასიტყვაობაში.

აქ ბევრი კითხვაა, ბევრი პასუხით და ყველგან – კითხვაშიც და პასუხშიც ნათლად ჩნდება სახე ყველა ხაშურელისთვის უძვირფასესი ქალბატონისა, რომლის სადა, უპრეტენზიო პოეზია თვითონ გიზიდავს, თავისკენ გიხმობს და ბევრ რამეზე გაფიქრებს.

„არ მეპატია იქნებ ის, რომ ჩავინვი სანთლად და შუქი მაინც ვერ მოვფინე დანგრეულ ტაძარს...“ – წერს ერთ ლექსში პოეტი ქალი და მკითხველისაგან ელის პასუხს. არადა, მან თავისი ცხოვრებით, ოჯახით, სიტყვით და საქმით თავისი წილი შუქი წამდვილად მოჰფინა ჩვენს საერთო ტაძარს.

სევდიანია მისი პოეზია და ეს ახალი წიგნიც იტევს ბევრ სევდას, სინანულს, წელთა სრბოლის ტკივილს:

„მწუხრის მტევენები უკვე დაწვურე, ახლა შევყურებ სიხარულის კვირტების დასხმას... თუმც, საუკუნის ნახევარი მოვირგე მხრებზე, დრო დარჩენილი ნახევარის მანტიას მასხამს.“

ერთი რამ უდავოა, მისი მანტია, წელიწადის ყველა დროს ფერადოვანია, ისევე, როგორც ეს მშვენიერი წიგნი!

დაე, დიდხანს, დიდხანს გვეგულეობდეს ჩვენი ძვირფასი ჟუჟუნა, რადგან, როგორც თვითონ ერთ ლექსში წერს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს ასახდენი.

„მზემ ჩამოფინა სხივები, ქარმა ხეები დაბერტყა, ოცნებებს, სულში ნაქარგებს დრო-დრო ირიბად გავხედავ, ყველა თუ არა, ერთი ხომ, ერთი ხომ მაინც ახდება.“

მურად მთვარელიძე

გაზეთი „ლიტერატურული ხაზური“ დაბადების დღეს ულოცავს ქ-ნი ჟუჟუნა ცენგირაშვილ-ქვრივიშვილს და დღეგრძელობასა და სამშობლოს გაბრწყინებას უსურვებს.

